

DRONI NEWS

ახალგაზრდული ორგანიზაცია „დრონის“ ახალი ამბების წერილი



მთავარი თემები

„გააკეთე შენით“
ვორქშოპი

გახადე უდაბნო კვლავ
დიდებული !

სანტა კლაუსის
სამშობლო

USE-IT, JUST USE IT!

დეკემბერი საკმაოდ დატვირთული თვე აღმოჩნდა USE-IT გუნდისთვის.რა არის USE-IT?

ეს არის გაერთიენება, რომელიც ქმნის ახალგაზრდულ, მეგობრულ,ალტერნატიულ რუკებს , ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად. ესაა შესანიშნავი საშუალება ქალაქის ნამდვილი სულის აღმოსაჩენად და შესაგრძნობლად . ასევე , საუკეთესო გზა, რომ თავი იგრძნო ზუსტად ისე როგორც ადგილობრივმა ახალგაზრდამ.

კარგი ამბავი კი ისაა, რომ თბილისს უკვე ახალი რუკა აქვს, რომლის 99 % კრეატიული სამუშაოსი უკვე შესრულებულია!

ახლა კი გვესაჭიროება თანხები იმისთვის , რომ დავბეჭდოთ რუკა ! შემდგომ, ჩვენ გვექნება ონლაინ და სააპლიკაციო ვერსია, რომელიც ინტერნეტის გარეშეც იმუშავებს !

გააკეთე, შენით!



14 დეკემბერს, „დრონის“ ახალმა მოხალისემ - დელია სიმონმა პირველი ვორქშოფი ჩაატარა სახელად "DIY Green Workshop".

ეს შეხვედრა არ იყო მხოლოდ და მხოლოდ მხიარულებით სავსე.

ვორქშოფის მონაწილეებმა მიიღეს ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია. აი, ასეთი, მაგალითად: იცოდით თუ არა რამდენი სასარგებლო მიზეზი აქვს ქოქოქსის ზეთის გამოყენებას? უამრავი!

ასევე, მონაწილეებმა ადგილზე მოამზადეს სხვა ნატურალური, პირადი ჰიგიენის საშუალებები, როგორებიცაა კბილის პასტა, დეოდორანტი და ძმარზე დამზადებული სახის სანმენდი საშუალება, რომელიც სახეზე ასუფთავებს თითქმის ყველაფერს!



უდაბნოს Christmas ღონისძიება

უდაბნოს ბიბლიოთეკა

28 დეკემბერი 2018

11:00 - 18:30

პროგრამა

- 11:00 –13:30 : გაგაგრძელებთ უდაბნოს სოფლის ბიბლიოთეკა!
სადილის შესვენება
- 14:30–18:30 : დავუბრუნოთ უდაბნოს ბიბლიოთეკას სიცოცხლე



გახადე უდაბნო კვლავ დიდებული!



28 ნოემბერს, „დრონის“ წევრები
ეკუნა,თათა და თამუნა კახეთში,სოფელ
უდაბნოში იმყოფებოდნენ,იმ მიზნით ,
რომ მოეწესრიგებინათ პატარა სოფელი.

როცა წესრიგზე ვსაუბრობ, ამას
გადატანითი მნიშვნელობით
ვგულისხმობ.
გოგოებმა დაასუფთავეს სოფლის
ბიბლიოთეკა, რომელიც იქნება
შეხვედრებისა და ვორქშოპების ადგილი
ადგილობრივი მოსახლეობისთვის,
რომელსაც ორგანიზაცია „დრონი“
განახორციელებს.
ახლა ეს ადგილი არის სუფთა, ლამაზად
მორთული ახალი 2019 წლისთვის! და
რაც მთავარია აქაურობა მზად არის
ახალი, საოცარი თავგადასავლებისთვის!

უდაბნო- მოემზადე - „დრონისთვის“!



დრონის წევრები საზღვარგარეთ

სანტა კლაუსის სამშობლოში

რა ვიცოდი ფინეთის შესახებ როცა პირველად გავიგე რომ პროექტზე დამატკიცეს და მივდივარ? არც არაფერი, გარდა იმისა, რომ ევროპული ქვეყანაა, დედაქალაქი ჰელსინკი, მეზობელი ქვეყანა რუსეთი და შვედეთი, ცივა და სანტა კლაუსიც ლაპლანდიაში ცხოვრობს. ეს იყო ჩემი მწირი ცოდნა ფინეთის შესახებ. გამგზავრებამდე საკმაო დრო მქონდა მოსამზადებლად და ამიტომ ყველაფერი ცოტა უფრო შორეულად და ზღაპრულად იყო, როცა ვიზა მივიღე და ბილეთებიც ნაყიდი იყო მაშინ გავაანალიზე რომ ნამდვილად მომიწევს ერთი წელი უცხო ქვეყანაში, უცნობ ხალხთან ყოფნა, კიდევ უფრო ძლიერად ეს ყველაფერი უკვე აეროპორტში გამოვცადე, ოჯახთან დამშვიდობების შემდეგ, როცა ზიხარ და ელოდები როდის აგიშვებენ ბორტზე და როდის გაფრინდები სრულიად უცხო ადგილას. ერთადერთი რისიც მეშინოდა იყო ხალხი, როგორი ხალხი დამხვდება ახალ ადგილას? მეყოლება მეგობრები? ყველა ვინც იგებდა რომ ფინეთში ვიცხოვრებ დიდი შემოფოთებით მეუბნებოდა „აუ ეგენი მაგარი ცივები არიან“ ან „უი სანყალო ერთი წელი მეგობრების გარეშე იქ მართო როგორ უნდა იყო? გამიგია ფინელი ხალხი ძალიან რთული ხასიათისაა“ და ასე სტერეოტიპებით გაჟღენთილი ჩამოვედი ჰელსინკიში და შემდეგ ტურკუში, ცოტა შეშინებული და მაფრთხალი, სიცვიის და სიბნელის მოლოდინით, თუმცა ყველაფერი ისე არ არის როგორც გეუბნებიან.

ორგანიზაცია სადაც მე ვმუშაობ ქალაქ ტურკუს ეკუთვნის, საკმაოდ დიდი ორგანიზაციაა, აქვთ უამრავი ახალგაზრდული ცენტრი და დაწესებულება სადაც, მობარდებს და თინეიჯერებს შეუძლიათ თავისუფალი დროის გატარება, საკუთარი ჰობის და ინტერესების განვითარება, პირადად მე ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე, ვმუშაობ ადგილას სადაც არის სხვადასხვა ტიპის სახელოსნოები, მაგალითად კერამიკის ვორქშოპი, სადაც ყველას შეუძლია მოვიდეს და გააკეთოს ის რაც უნდა, ჩვენ კი ვეხმარებით ვაჩვენოთ სხვა და სხვა ხერხები და ტექნიკები საბოლოო შედეგის მისაღებად. ფინელი ხალხი ძალიან ყურადღებიანი, თუ დახმარება გჭირდება გაჭირვებაში არავინ დაგტოვებს, შეიძლება ემოციების გამოხატვის გზები განსხვავებულია და ჩვენთვის, ქართველებისთვის ჩვეული გადაჭარბებული ალტკინება და ემოცია ვერ დაინახო თუმცა მათ ზრუნვას ნამდვილად იგრძნობ უფრო მეტად პრაქტიკულად, ვიდრე საქართველოში უბრალოდ სიტყვებით. ამჟამად ოთხი თვეა რაც აქ ვარ, მეგობრებიც გავიჩინე და მათგან ზრუნვას და სითბოსაც ისევე გამოკვეთილად ვგრძნობ როგორც სახლში.

რა შემიძლია ვთქვა ქალაქზე, ტურკუ ძალიან ლამაზი პატარა ქალაქია, ბევრი საინტერესო ხალხით და ადგილით, რომელსაც თავისი ისტორია და წარსული აქვს. ტურკუში სამი უნივერსიტეტია, ამიტომ ახალგაზრდობის ნაკლებობას ნამდვილად ვერ იგრძნობ, ინგლისური ენა ყველამ იცის. თუ ფინელი ამბობს რომ ცუდად საუბრობს ინგლისურად, არ დაუჯერო სავარაუდოდ შენზე უფრო გამართულ ინგლისურს ფლობს, თუმცა ფინური პერფექციონიზმის გამო მორცხვობს.

შესაჯამებლად შემიძლია ვთქვა, რომ არ ენდოთ სტერეოტიპებს და ინტერნეტში ამოკითხულ მშრალ ფაქტებს. ამ პროექტში მონაწილეობამ იმაზე უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება მომიტანა ვიდრე ჩემმა მთელმა ცხოვრებამ ერთად, ზუსტად ვიცი, ფინეთში გამგზავრება და პროექტში მონაწილეობა ის ნაბიჯია რასაც არასდროს ვინანებ და შანსი რომ იყოს კიდევ ერთხელ, დაუფიქრებლად წავიდოდი მსგავს პროექტზე.

გილოცავთ დაბადების დღეს !



რაც უფრო გემატება წლები , მით უფრო უკეთესი ხდები!

თიკო ნადირაშვილი

გიგა მართაშვილი

ხატია ხალვაში

გიორგი კიკალიშვილი

მარი აფციაური

მარიამ ბერიაშვილი

ნანა ბურჭულაძე

ნინო ღუღულაშვილი

სოფო საათაშვილი

თამუნა ნებიერიძე

თამუნა
ფარცახაშვილი

თეონა ბიძიშვილი

არჩილ წულაია

თორნიკე მუსხერიძე

გილოცავთ შობა ახალ წელს!



გისურვებთ, ამ
დღესასწაულის დროს
მუდამ ანათებდეთ და
ბრწყინავდეთ!
გისურვებთ ყველა
თქვენი სურვილისა და
ოცნების ასრულებას
და ბედნიერებას
მთელი წლის
განმავლობაში!

გილოცავთ შობა ახალ
წელს!

-„დრონის“ გუნდი

